01/10/2019

კრწანისობა 2019

ა.წ. 24 სექტემბერს, კრწანისის ბრძოლაში თავდადებულთა ხსენების დღეს, 300 არაგველის სახელობის პარკში საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) სამღვდელოებასთან ერთად პარაკლისი გადაიხადა. მან ჩვენი ქვეყანა, 300 არაგველი და კრწანისის ბრძოლაში მომწყდარი ჩვენი მებრძოლები ღმერთს შეავედრა. პარაკლისს ესწრებოდა ქალაქ თბილისის მერი ბ-ნი კახა კალაძე, მერის მოადგილე ქ-ნი სოფიო ხუნწარია, მაჟორიტარი დეპუტატი ბ-ნი ბექა ოდიშარია და სხვა პირები.

პარაკლისის დასრულების შემდეგ 300 არაგველის მემორიალთან ტრადიციული დღესასწაული – „კრწანისობა 2019” გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა და ცალკეულმა შემსრულებლებმა. დაიდგა თეატრალიზებული წარმოდგენაც.

- patriarchate.ge